საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000060347431320

№ 02-138-R 31 / აგვისტო / 2020 წ.

ბრძანება

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლოპროცესის აღდგენის განსახორციელებლად შენობის გახსნის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისადა ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპთბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლისმე-9 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლოპროცესის განსახორციელებლად,მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან სრული დატვირთვით გაიხსნას კონსერვატორიის სარგებლობაში არსებული სამი შენობიდან, შენობა, მდებარე ქ. თბილისი, გრიბოედოვის 8-10-ში.

2..სასწავლო დეპარტამენტის და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წინასწარ მომზადებული გეგმა-გრაფიკის საფუძველზე,მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან შენობაში შესვლა შეეძლებათ მხოლოდ სამაგისტრო და სადოქტორო მისაღებ გამოცდებზე მონაწილე აბიტურიენტებს, საგამოცდო კომისიის წევრებს და გამოცდების მომზადებაში ჩართულ ადმინისტრაციულ პერსონალს.

3. სასწავლო დეპარტამენტის მიერ წინასწარ მომზადებული გეგმა-გრაფიკის და სამეცადინო ცხრილის (ჯგუფური და ინდივიდუალური) საფუძველზე განხორციელდება სასწავლო პროცესი და კონსერვატორიის შენობაში შესვლა ამა წლის 7 სექტემბრიდან

4. ყველა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციედება ნუცუბიძის ქ. 81ა-ში მდებარე შენობაში სასწავლო პროცესს წარმართავს გრიბოეოდვის ქ. 8-10 მდებარე შენობაში.

5. შემომსვლელებმა უნდა დაიცვან შენობაში მათი ყოფნისათვის განკუთვნილი დღე და დრო

6. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.tsc.edu.ge

7 .ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლისხეივანიმე-12 კმ. N6.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი	ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად	ნანა შარიქაძე